თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 06

30 მარტი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 31 დეპუტატი და 2020 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული 1 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის

„ ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“
თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე ბაადური რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნაცარაშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გიორგი მეტრეველი, გოჩა წაწალაშვილი, გურამი წულუკიძე, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
მერიის იურდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების **უფროსი ელენე ფროდეული;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე.**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე.**

მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი"-ს სტუდენტი - **ს.გუჯეჯიანი, მ.ტერტერაშვილი (თარჯიმანი)**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმოამდგენლები.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის **ლ.ბერძენაშვილის** ნაცვლად სხდომაზე სამართლებრივ აქტების პროექტებს წარმოადგენს იურდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი **ელენე ფროდეული;**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   12.15სთ-დან - 12.35 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ე.ფროდეული
   12.35სთ-დან - 12.45 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. ე.ფროდეული
   12.45სთ-დან - 13.00 სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა 13.00 სთ-დან - 13.10 სთ-მდე

5. ქ.თელავში, ილია ჭავჭავაძის გამზირის მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შესახებ.

   მომხს. ლ.ღარიბაშვილი
   13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე
   13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მოძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) გიგა მოსიაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
13.40სთ-დან - 13.50 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ხვისტანი
13.50სთ-დან - 14.00 სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ხვისტანი
14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

11. ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
14.10სთ-დან - 14.20სთ-მდე

დამატებით საკითხად, დღის წესრიგში შეტანის მიზნით ლ. ღარიბაშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

ასევე დამატებითი საკითხის დღის წესრიგში შესატანად გ.თავბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „ქ.თელავში, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სოფიო არსენიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

1.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

წარმოდგენილ პროექტზე განმარტებები გააკეთა **ნ. ვაყელიშვილმა**

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა და გ.მამუკელაშვილმა** დასვეს კითხვები, რაზეც ამომწურავად უპასუხა **ნ.ვაყელიშვილმა** .

ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა, გარკვეულ მუხლებში თანხის გაზრდის წყაროს შესახებ, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ თანხა გამოყოფილია გასული წლის ბიუჯეტის ნაშთიდან.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, **წინააღმდეგი:** 01(ერთი) წევრი - **ბ.რევაზიშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 04(ოთხი) წევრმა **ა.კუპატაძემ, ზ.ნაცარაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

მეორე საკითხის განხილვისას საკრებულოს სხდომას შემოურთდა მ.გრემელაშვილი.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.15სთ-დან - 12.35 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ი. პარწიკანაშვილმა** დასვა კითხვები ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

ა.თხლაშიძემ მომხსენებელს მოსთხოვა იმ პროექტების დასახელება, რომლებიც 70%-ით შესრულდა და ისინიც, რომლებიც ვერ შესრულდა, როგორც დაგეგმილი ჰქონდა მუნიციპალიტეტს. ასევე მან აღნიშნა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროექტების დაგეგმაზე სამუშაოა და საჭიროა პროგრამის გამრავალფეროვნება და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია საკრებულოს წევრებმა იმსჯელონ კომისიის სხდომის ფორმატში.

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ბისათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტების გამრავალფეროვნება, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მომართვიანობა არა მარტო ფასადებზე, არამედ წვრილმან პრობლემებზეც არის. (მაგ. კანალიზაციის პრობლემებზე).

ა.თხლაშიძემ ასევე აღნიშნა, რომ პრობლემა არსებობს ასევე წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით და მან გამოთქვა მზაობა მოსახლეობას უშუამდგომლოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრებები.

გადაწყვეტილების მიღებამდე საკრებულოს სხდომა დატოვა ზ.ნაცარაშვილმა

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27 (ოცდაშვიდი) წევრმა, **წინააღმდეგი: 01(ერთი) წევრი ბ.რევაზიშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) წევრმა **ზ.გრიშიკაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

მესამე საკითხის განხილვისას საკრებულოს სხდომას შემოურთდა გ. წულუკიძე.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ე.ფროდეული

12.35სთ-დან - 12.45 სთ-მდე

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა **ე.ფროდეულმა** და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.მჭედლიშვილმა**

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა) წევრმა, **წინააღმდეგი: 01(ერთი) წევრი ბ.რევაზიშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) წევრმა **ზ.გრიშიკაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ე.ფროდეული

12.45სთ-დან - 13.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.კოჭლოშვილმა** დასვა კითხვა სააგენტოს ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებელმა გააკეთა განმარტებები.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 30 (ოცდაათი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა **ზ.გრიშიკაშვილმა.**

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა 13.00 სთ-დან - 13.10 სთ-მდე

<u>5.მოისმინეს:</u> ქ.თელავში, ილია ჭავჭავაძის გამზირის მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შესახებ.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი

13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

წარმოდგენილ პროექტზე განმარტებები გააკეთა **ლ.ღარიბაშვილმა** და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

პროექტი საკრებულოს წევრებს წარუდგინა გ. თავბერიძემ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება და საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებული უნდა იქნეს ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, ვიდაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს დღევანდელ სხდომას წარუდგინა დამატებითი პროექტი, რომელიც გულისხმობს აღნაგობის ფორმით გადაცემას.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. მუსაევმა მიმართა მომხსენებელს, რომ ასეთი სახის პროექტების წარმოდგენისას, მიზანშეწონილი იქნება მეტი თვალსაჩინოებისათვის, რომ პროექტს დართული ქონდეს დასურათება.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29(ოცდაცხრა) წევრმა, **წინააღმდეგი: 01(ერთი) წევრი ბ.რევაზიშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა **ზ.გრიშიკაშვილმა.**

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

წარმოდგენილ პროექტზე განმარტებები გააკეთა **გ.თავბერიძემ** და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>8. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მოძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) გიგა მოსიაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.40სთ-დან - 13.50 სთ-მდე

პროექტი წარმოადგინა **გ.თავბერიძემ** და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ზ. მუსაევმა, საკრებულოს წევრებმა** დასვეს კითხვები, პროექტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ.

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მოხდეს მონიტორინგი, რამდენად სრულყოფილად შესრულდება პროექტით გათვალისწინებული პირობა.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28 (ოცდაშვიდი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03(სამი) წევრმა **ზ.გრიშიკაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

მეცხრე საკითხის განხილვამდე საკრებულოს სხდომა დატოვა ა.კუპატაძემ, ბ.ქოჩიშვილმა.

<u>9.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ხვისტანი

13.50სთ-დან - 14.00 სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>10.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.ხვისტანი

14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>11.მოისმინეს:</u> ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

14.10სთ-დან - 14.20სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>12.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი

14.20სთ-დან - 14.30სთ-მდე

ლ. ღარიბაშვილმა პროექტზე განმარტებები გააკეთა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში მოცემულია როგორც ახალი, ასევე ძველი ობიექტები.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

13.მოისმინეს: „ქ.თელავში, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სოფიო არსენიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხს. გ.თავბერიძე
14.30სთ-დან - 14.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **საკრებულოს წევრების** და **მოქალაქე ა.მჭედლიშვილის** მიერ დაისვა პროექტთან დაკავშირებით შეკითხვები, რაზეც განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28 (ოცდარვა) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა **ლ.მენთეშაშვილმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

231290898